ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2800412

ნომერი: AR1431990

თარიღი : 14.08.2016

გაცემის თარიღი : 26.08.2016

გაცნობის თარიღი : 29.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გასასვლელი გ. წერეთელი , N 1 / ქალაქი თბილისი , გამზირი ჩოლოყაშვილი , N 3-5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიგა ზედანია პ/ნ 01008010287
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძეს ქუჩა, N 4, ბინა 98

ორგანიზაცია:

- სსიპ "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი" კოდი: 204861970

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებულ შენობაზე , პირველი სართულის ფანჯრის ღიობების რეკონსტრუქციის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, გასასვლელი გ. წერეთელი N 1, / ქალაქი თბილისი, გამზირი ჩოლოყაშვილი N 3-5, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს კუთვნილი შენობა 02/4-ის ფასადზე პირველი სართულის ფანჯრის ღიობების რეკონსტრუქციას.

პასუხად გაცნობებთ, რომ “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერგანსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს საკუთებაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 882015434840 04/08/2015წ. საკადასტრო კოდი N 01.14.07.010.023; არსებული ფოტო, საპროექტო ფოტომონტაჟი, კონსტრუქციული დასკვნა, საკადასტრო გეგმაზე დატანილი საპროექტო არეალი, გეგმები, ჭრილები და ფასადის ნახაზები) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, გასასვლელი გ. წერეთელი N 1, / ქალაქი თბილისი, გამზირი ჩოლოყაშვილი N 3-5, სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს კუთვნილი შენობა 02/4-ის ფასადზე პირველი სართულის ფანჯრის ღიობების რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელისამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.